

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელთა შესარჩევი კომისიის სხდომის

ოქმი N 1

28.02.2011

2011 წლის 28 თებერვალს შედგა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელთა შესარჩევი კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: დ. ჩომახიძე, გ. ყუფარაძე, მ. რუსიეშვილი, რ. ტყემალაძე, ლ. ქეცბა-ხუნდაძე, ი. მინდაძე, ქ. გაბუნია, ს. გელაძე, მ. ჯავახიძე, მ. კობეშავიძე, დ. გოცირიძე.

დღის წესრიგი:

1) მასწავლებელთა შეფასების საერთო წესის შეჯერება (რ. დოლიძე).

მოისმინეს: თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის დირექტორის ასოც. პროფ. რ. დოლიძის ინფორმაცია ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებელთა შეფასების საერთო წესის განსაზღვრისა და შეჯერების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ლ. ქეცბა-ხუნდაძემ, სრ.პროფ. მ. რუსიეშვილმა, სრ. პროფ. ქ. გაბუნია, სრ. პროფ. დ. გოცირიძემ, ასოც. პროფ. ი. მინდაძემ, ასოც. პროფ. ს. გელაძემ, ასოც. პროფ. მ. ჯავახიძემ, ასისტენტ. პროფ. მ. კობეშავიძემ, ფილ. დოქტ. რ. ტყემალაძემ.

დაადგინეს: 1) კომისიამ იმსჯელა საკითხის გარშემო და ერთხმად დაუჭირა მხარი შეფასების კრიტერიუმებში ქულათა საერთო წესის შეჯერებასა და მასში გარკვეული სახის ცვლილება-დაზუსტებების შეტანას. (იხ. ცვლილებები დანართი N3)

2) კომისიამ ასევე იმსჯელა შემოსული საბუთების რელევანტურობაზე განმცხადებლის შერჩევაში (ატესტაციაში) დაშვების

თვალსაზრისით და აღძრა შუამდგომლობა თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის წინაშე, რათა ნებისმიერი მსგავსი სადაო საკითხი შეთანხმებულ იქნას თსუ იურიდიულ სამსახურთან.

თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის
მასწავლებელთა შესარჩევი საატესტაციო
კომისიის თავმჯდომარე, თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი:

/დ. ჩომახიძე/

თსუ ენების შემსწავლელი ცენტრის
მასწავლებელთა შესარჩევი საატესტაციო
კომისიის მდივანი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების ასოც. პროფესორი:

/გ. ყუფარაძე/

კრიტერიუმები	ქულები	
უმაღლესი განათლების დიპლომი		
1. საქართველოში (მაგისტრი, მაგისტრთან გათანაბრებული)	5	
2. უცხოური (მაგისტრი, მაგისტრთან გათანაბრებული)	7	
3. დოქტორანტურა უცხოეთში (სრული კურსი)	8	
აკადემიური ხარისხი		
1. მეცნიერებათა დოქტორი	10	
2. დოქტორანტი	7	
პედაგოგიური გამოცდილება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში		
1. 3 წელი	3	
2. 5 წელზე მეტი	5	
უცხო ენის სერტიფიკატი		
1. C1/C2 დონის საერთაშორისო სერტიფიკატი	7/10	
ტრენინგებში/სემინარებში მონაწილეობა		
1. ენობრივი კომპეტენციის ასამაღლებელი სემინარი/ტრენინგი		
1.1. მოკლევადიანი (ადგილობრივი) (5-დან 10 სთ)	1x რაოდ	
1.2. გრძელვადიანი 11–20 საათი 21 და მეტი (ადგილობრივი საერთაშორისო) (წერა, კითხვა, მოსმენა, მეტყველება, აკადემიური წერა)	3x რაოდ 6x რაოდ	
1.3. ტრენინგები უცხოეთში (5– 10 სთ) 11–20 სთ 21სთ და მეტი	1x რაოდ 3x რაოდ 6x რაოდ	
2. მეთოდური სემინარი/ტრენინგი (უცხო ენის გაკვეთილის მეთოდოლოგია-დიდაქტიკა, გაკვეთილის დაგეგმვა, შეფასება, შეცდომების გასწორება და სხვა)		
2.1. მოკლევადიანი (ადგილობრივი)(5-დან 10 სთ)	1 x რაოდ	
2.2. გრძელვადიანი (ადგილობრივი საერთაშორისო) 11–20 საათი 21 და მეტი სთ	3 x რაოდ 6 x რაოდ	
2.3. გრძელვადიანი ონ–ლაინ ტრენინგები	15 x რაოდ	
3. დარგობრივი სემინარი/ტრენინგი (სპეციალიზირებული ენა იურისტებისათვის, ეკონომისტებისათვის, მედიკოსებისათვის, ინფორმატიკოსებისათვის და ა.შ.)		
3.1. ადგილობრივი (5– 10 სთ) (11–20 სთ) (21სთ და მეტი)	1 x რაოდ 3 x რაოდ 6 x რაოდ	
3.2. უცხოეთში (5– 10 სთ) (11–20 სთ) (21სთ და მეტი)	1 x რაოდ 3 x რაოდ 6 x რაოდ	
4. მეთოდური გამოცდები		
4.1. CELTA/Fernstudienkurs/TORFRL	25	
4.2. TKT (5 ქულა თითო მოდული)	15/18	
კვალიფიკაცია		

